



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

„მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
„მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 20-21 მარტი, 2023 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 01 ივნისი, 2023 წ.

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	13
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	13
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	26
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	34
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	39
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	52

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ომარ კიკვიძე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მექანიკის ინჟინერია Mechanical engineering	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია Mechanical Engineering and Technology						
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი (Bachelor in Mechanical Engineering)	მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მაგისტრი (Master of Mechanical Engineering and Technology)						
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0715	0715						
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³								
სწავლების ენა	ინგლისური	ქართული						
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120						

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

³ (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

<p>პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)</p>	<p>არაკრედიტებული</p>	<p>ახალი</p>						
--	-----------------------	--------------	--	--	--	--	--	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ⁴**

მსოფლიოში „მექანიკის ინჟინერია“ წარმოადგენს საინჟინრო სფეროს ერთ-ერთ ძირითად და მოთხოვნად მიმართულებას. ინჟინერიის ეს დარგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საინჟინრო ტექნოლოგიების და მრეწველობის განვითარებაში. აქედან გამომდინარე მექანიკის ინჟინერების მომზადება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მასშტაბით წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მექანიკის ინჟინერიის მიმართულებას გააჩნია საუკუნოვანი გამოცდილება. მათ მიერ წარმოდგენილია საბაკალავრო ინგლისურენოვანი და სამაგისტრო ქართულენოვანი პროგრამები. „მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 2012 წლიდან ხოციელდება, რომელიც ძირითადად გათვლილია აზიის, აფრიკის და ახლო რეგიონების სტუდენტებზე.

„მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მექანიკის დარგის ღრმა ცოდნით, კრიტიკული ანალიზის, პრაქტიკული და კვლევითი უნარებით გადაჭრან დარგში არსებულის პრობლემები. პროგრამა შეიქმნა დარგში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე. ქვეყანაში კვალიფიკაციური კადრების მოთხოვნილება განპირობებულია სხვადასხვა საწარმოებში მანქანა-დანადგარების ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და ახალი საწარმოების გახსნით

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის წინ (17.03.2023) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული იყო წარმოდგენილ პროგრამებთან დაკავშირებული მასალის გაცნობის შედეგად წარმოშობილი კითხვები და საკვანძო საკითხები. ვიზიტი განხორციელდა 20.03.2023 და 21.03.2023, რომელიც წარიმართა მშვიდ თანამშრომლობით გარემოში, ჩატარდა ინტერვიუები წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა წარმოდგენილი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .საბაკალავრო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - სამაგისტრო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

⁴ პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - საბაკალავრო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - სამაგისტრო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი, 1.2 კომპონენტი.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის მე-9 შედეგზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით: გაცნობა - 1, გაღრმავება -2, განმტკიცება - 3.

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა, 1.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის პირველ და მეცხრე შედეგებზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით.

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი, 1.5 კომპონენტი

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში გამოყენებული იქნას ინგლისურენოვან ლიტერატურაში მოცემული ტერმინოლოგია;
- რეკომენდებულია, დამუშავდეს სასწავლო კურსის „მასალათა გამძლეობა“ სილაბუსი: დაშვების წინაპირობად განისაზღვროს თეორიული მექანიკა 1, კურსის სწავლის შედეგებში აისახოს: შეძლებს მასალის მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრას, გათვალისწინებული იქნას პრაქტიკული მეცადინეობები და საკონტაქტო საათები განისაზღვროს შემდეგნაირად: ლექცია -15 სთ., პრაქტიკული-15 სთ., ლაბორატორიული სამუშაო-15 სთ.

- **პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა, 1.5 კომპონენტი**

- რეკომენდებულია, დაზუსტდეს ლექციების თემები სასწავლო კურსში „რხევების გამოყენებითი თეორია და ვიბრაციული მანქანები“;

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების კონსტრუირება“ აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საკურსო პროექტის პრეზენტაცია, შეფასების შესაბამისი რუბრიკით;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების დინამიკა“ თემატურად დაჯგუფდეს ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განსახილავი საკითხები;
- რეკომენდებულია, კურსებში თემატიკის გადაფარვების გამოსარიცხად დაიგეგმოს სასწავლო კურსების ავტორების შეხვედრები.

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა, 2.4 კომპონენტი

რეკომენდებულია, დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ მათში გამოიკვეთოს „კვლევის მიზანი და ამოცანები“, „დასაბუთება“ და „კითხვა-პასუხი“.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები, 4.5 კომპონენტი:

რეკომენდებულია, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში კონკრეტულად და ნათლად აისახოს ხარჯები პროგრამ(ებ)ის ისეთი საჭიროებებისთვის, როგორცაა: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, შიდა გრანტები, სამეცნიერო კვლევების წარმოება-დაფინანსება და სხვ.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები, 5.1 კომპონენტი:

რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში“ გაჩნდეს ჩანაწერი, რომლითაც ეს წესი გავრცელდება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაზე.

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

- რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“ გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობის ნიშნულთან დაკავშირებული საკითხი.
- რეკომენდებულია, „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების ჩანაწერები დადებითი შეფასების გამოანგარიშების თაობაზე ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები, 5.3 კომპონენტი:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შეფასების, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების გადაფარვების აღმოფხვრის, შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების სათანადოდ განსაზღვრისა და სხვა მიმართულებით.

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და შედეგები, ასევე, სხვა კომპონენტები შემუშავდეს დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით.
- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

პროგრამა 2, მექნიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა, 4.3 კომპონენტი

სასურველია გაიზარდოს შიდა საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსება

კლასტერის საერთო რჩევები, 5.1 კომპონენტი:

- სასურველია, პროგრამის მუდმივი განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ხშირი ხასიათი ჰქონდეს დამსაქმებლებთან კომუნიკაცია-თანამშრომლობას
- სასურველია, დაიგეგმოს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოფხვრის ღონისძიებები მუდმივი განვითარების მიზნით; ასევე, ვალიდურობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილეთა რაოდენობა.

კლასტერის საერთო რჩევები, 5.2 კომპონენტი:

სასურველია, ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და გარე შეფასებისას გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ მონაცემები აისახოს თვითშეფასების დოკუმენტში.

კლასტერის საერთო რჩევები, 5.3 კომპონენტი:

სასურველია, ანალოგ პროგრამებთან დადარების უფრო დეტალური ანალიზი იყოს წარმოდგენილი, რითაც დადგინდება როგორც პროგრამებს შორის მსგავსება, ისე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განსაკუთრებულობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი ფლობს მრავალფეროვან მუდმივად განახლებად მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, რომელიც არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, უნიკალური და მაღალი ხარისხის. ფაკულტეტზე არსებული თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია კვალიფიციური კვლევების წარმოება და კადრების გაზრდა.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

პირველ სტანდარტთან მიმართებით დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციებს და ეთანხმება შეფასებას მეტწილად შესაბამისობაშია. რაც შეეხება დაწესებულების პოზიციას 1.2 კომპონენტზე, აქ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნაგულისხმევი იყო მე-9 სწავლის შედეგი. (ჩანაწერი მე-10 სწავლის შედეგი ტექნიკური ხარვეზია). შესაბამისად უცვლელად ვტოვებთ პირველ სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებს. ამასთან, მე-6 რეკომენდაციის ფორმულირება ოდნავ შეიცვალა, რადგან შეფასების კრიტერიუმებზე 2.4 კომპონენტში გვეწერა და დუბლირება გამოგვერიცხა.

მე-2 სტანდარტის 2.4 კომპონენტში გაცემული იყო ერთ რეკომენდაცია რომელსაც უცვლელად ვტოვებთ, რადგან მიგვაჩნია რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროს „კვლევის მიზანი და ამოცანები“, „დასაბუთება“, „კითხვა პასუხი“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სხვა შეფასების კრიტეტიუმებთან ერთად უნდა ფასდებოდეს.

მე-3 სტანდარტში არ ყოფილა რეკომენდაცია გაცემული;

მე-4 სტანდარტის 4.5 კომპონენტთან მიმართებით დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტში გაცემულია რეკომენდაცია, სადაც ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ საჭიროა ნაშრომების შემოწმების წესში გაჩნდეს ჩანაწერი საბაკალავრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასეთი ჩანაწერი არ გვხვდება. შესაბამისად რეკომენდაცია უცვლელად ვტოვებთ.

5.1 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს მაგისტრანტის ინდივიდუალურ ხედვასა და წაკითხული კვლევების მისეულ გააზრებას, ციტირებულმა ფრაზებმა კი არ უნდა დასწიოს მაგისტრანტის კვლევითი უნარები და დამოუკიდებლობის ხარისხიც. ეს ვერ მიიღწევა, თუ ნაშრომში მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობა განისაზღვრება 50%-ით ან მეტი %-ით.

ამასთან, საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების ჩანაწერები გადახედვას მოითხოვს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ეს კი უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში გასწორებული არაა. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უცვლელად უნდა დარჩეს.

რაც შეეხება 5.3 კომპონენტთან მიმართებით მონიტორინგის გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით, ეს ლოგიკურად გამომდინარეობს წინა სტანდარტებიდან, რომლებზეც დარგობრივი მნიშვნელობის რეკომენდაციები გაიცა. ამიტომ ამ რეკომენდაციებსაც უცვლელად ვტოვებთ.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება პროგრამის მიზნებისა და შედეგების, ასევე, სხვა კომპონენტების შემუშავებას დაინტერესებულ აქტორთა აქტიური ჩართულობით. ესეც გამომდინარეობს წინარე რეკომენდაციებიდან, ასევე, ინტერვიუებმა და მტკიცებულებებმა დაადასტურეს, რომ ამ მიმართულებით სამუშაოა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁶
2. კლასტერული შეფასება⁷

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	

⁶ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁷ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

- | | |
|---|-----------------------------|
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას „შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

აღწერა და ანალიზი, პროგრამა 1- მექანიკის ინჟინერია - ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი)

„მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სატრანსპორტო სისტემების და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მისიას. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი ინჟინერიაში. პროგრამის მიზანი პასუხობს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის „0715 მექანიკა და ლითონის საქმე“ დეტალური სფეროს მოთხოვნებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დეტალურ სფეროს 0715 მექანიკა და ლითონის საქმე. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, სამაგისტრო პროგრამის მიზანი პასუხობს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის „0715 მექანიკა და ლითონის საქმე“ დეტალური სფეროს მოთხოვნებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დეტალურ სფეროს 0715 მექანიკა და ლითონის საქმე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია - მაგისტრატურა

„მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დარგის ღრმა ცოდნით, კრიტიკული ანალიზის, პრაქტიკული და კვლევითი უნარებით აღჭურვილი მაგისტრები, რომლებიც შეძლებენ: სამანქანათმშენებლო წარმოების ტექნოლოგიის, სხვადასხვა დანიშნულების

მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკური ექსპლუატაციის, მანქანათა სისტემების ავტომატიზაციის ცოდნით არსებული ამოცანების და პრობლემების გადაჭრას; საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების პროექტირებისას და დეტალების დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებში ინოვაციური კონსტრუქციების გამოყენებას; საწარმოო მანქანა - დანადგარების, მათი დეტალების და კვანძების ექსპერტიზის უახლესი მეთოდების გამოყენებით წვლილს შეიტანენ დარგის განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია <http://gtu.ge/AboutStu/Mission.php> ;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ;
- ბაკალავრიატის (ინგლისურენოვანი)საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის მისია <https://gtu.ge/Stmm/>;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება ⁸

⁸ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები				
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის აღწერა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 ნ. ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი, პროგრამა 1- მექანიკის ინჟინერია - ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი)

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და იძლევა შინაარსით გათვალისწინებული ძირითადი ცოდნის მიღების და უნარების გამომუშავების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან (სწავლის შედეგების რუკა - დანართი 1 და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - დანართი 2). სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. სწავლის შედეგი - გეგმავს შემდგომი სწავლის პროცესის საჭიროებას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით (მე 10 შედეგი რუკის მიხედვით) აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნვითარდება პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. შედეგების რუკის მიხედვით ამ შედეგზე გადის: პრაქტიკა მექანიკის ინჟინერიაში და საბაკალავრო ნაშრომი მე 3 დონიდან განმტკიცება

(გაცნობის-1 და გაღრმავების-2 გარეშე). თუმცა არც ერთი კურსის სწავლის შედეგებში არ არის ასახული კომპეტენცია ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია - მაგისტრატურა

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტ იძენს პროგრამის დასრულებისას (სწავლის შედეგების რუკა- დანართი 1 და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა- დანართი 2) პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში არ არის ასახული კომპეტენცია - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, თუმცა პროგრამის სწავლის პირველი და მეცხრე შედეგი (სწავლის შედეგების რუკა- დანართი 1) დაკავშირებულია ამ კომპეტენციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“ (კურიკულუმი);
- ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“ (კურიკულუმი);
- სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1 და 2);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის მე-9 შედეგზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით: გაცნობა - 1, გაღრმავება -2, განმტკიცება - 3.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის პირველ და მეცხრე შედეგებზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა შესაბამისი დონეებით.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები				
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის აღწერა და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს:

□ პროგრამის სწავლის შედეგების და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის მატრიცას, რაც ნათელყოფს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს;

□ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემას, რომელიც აჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭირვალედ, გარკვეული პერიოდულობით.

პროცესში მონაწილეობას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აგრეთვე დარგის სპეციალისტები. ასევე, ამ პროცესში ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ასევე ახორციელებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). პირდაპირი შეფასების მეთოდით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგს. არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების შეფასების და ანალიზის საფუძველზე. ამავდროულად თითოეულ სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში) გაწერილია სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასებისთვის შესაბამისი შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სწავლის შედეგების სწორი და მიზანმიმართული შეფასება მიღწევადია. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე კეთდება დასკვნები საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“ (კურიკულუმი);
- ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“ (კურიკულუმი);
- სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1 და 2);
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი				
პროგრამა 1 მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი შესაბამისად. სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლების საფეხურთან. საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), 1 კრედიტი

უდრის 25 აკადემიურ საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. სასწავლო წლის მოცულობა არის 60 ECTS კრედიტი. პროგრამა განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე, შესაბამისად, ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი)

საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“ შექმნილია დარგში როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე. პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის (ბაკალავრიატი) აღმწერით. პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია (8 სემესტრი). სტუდენტმა „მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრი“ ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის დონით.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტებისგან. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით: სავალდებულო სასწავლო კურსების 186 კრედიტის, პრაქტიკის 6 კრედიტის, საბაკალავრო ნაშრომი 8 კრედიტის ოდენობით, ხოლო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების კი 10 კრედიტის ოდენობით.

პროგრამა მოიცავს თავისუფალ კომპონენტებს 30 კრედიტის მოცულობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი). მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა აითვისოს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონის (მაგისტრატურის)

აღმწერით. პროგრამის 120 კრედიტი მოიცავს სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს - 79 კრედიტი. უცხოურ ენა 5 კრედიტი, სამაგისტრო საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი; კვლევით კომპონენტს 30 კრედიტს. პროგრამაში შემავალი სასწავლო (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) და კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატური, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“

- ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“;
-- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261
- დადგენილების დანართი – საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი <https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მთლიანობაში ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ დადგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციათა დონეს, რომელიც შეესაბამება შესაბამის საფეხურს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი)

საბაკალავრო პროგრამის - „მექანიკის ინჟინერია“-ს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართით. თითოეული სასწავლო კურსის და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციათა მექვე დონეს. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებასა და ასათვისებელი მასალის სირთულესა და მოცულობას. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოძიებულია დარგის უახლესი უცხოური ლიტერატურა და გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის სახით. სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა უცხოელი ავტორების, უცხოეთში, ინგლისურ ენაზე გამოცემული, სტუ-ს ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია CD დისკებზე. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია კურსზე დაშვების წინაპირობა და გამოყენებულია არასწორი ტერმინოლოგია. მაგ: მასალათა გამძლეობის (Strength of materials) კურსზე დაშვების წინა პირობა უნდა იყოს თეორიული მექანიკა 1

(Theoretical mechanics 1), ტერმინოლოგია არასწორადაა შერჩეული მაგ: stress diagram -ის ნაცვლად უნდა იყოს stress-strain diagram, deformation-ის ნაცვლად უნდა იყოს strain და სხვ. არასწორი ტერმინოლოგია შეიმჩნევა სხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში. მასალათა გამძლეობის კურსში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები მასალის მექანიკურ გამოცდაზე, რაც არ არის სათანადოდ ასახული კურსის სწავლის შედეგებში. კურსის სტრუქტურაში გათვალისწინებულია საკონტაქტო საათები: ლექცია 30 სთ. და ლაბორატორიული სამუშაო 15 სთ. არ არის გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობები, რაც გაუმართლებელია სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“-ს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართით. თითოეული სასწავლო კურსის და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციათა მეშვიდე დონეს. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია თემების განხილვის თანმიმდევრობა და შეინიშნება თემების გადაფარვა. კურსში „რხევების გამოყენებითი თეორია და ვიბრაციული მანქანები“ მე 8 კვირის ლექციის თემა დასაზუსტებელია. განიხილება ძელის რხევა. ფირფიტების და გარსების რხევები. ძირითადი დიფერენციალური განტოლებების გამოყვანა. 2 საათში ამ საკითხების განხილვა არ არის გამართლებული. მით უფრო, მე 9 კვირაში ლექციაზე განიხილება მრგვალი ფირფიტის რხევის დიფერენციალური განტოლება. გარსების რხევები. სასაზღვრო პირობებთან ერთად განხილული უნდა იყოს საწყისი პირობები, ხაზგასმით აღინიშნოს სიხშირეების განტოლება.

კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების კონსტრუირება“ აქტივობის შეფასება (30 ქულა) ხდება ორი კომპონენტით: საკურსო პროექტის შესრულება (15 ქულა) და ყოველკვირეული ქვიზი (მაქსიმუმ 15 ქულა). ყოველკვირეული ქვიზის ნაცვლად მიზანშეწონილია პროექტის პრეზენტაციის გათვალისწინება (15 ქულა), შეფასების შესაბამისი სისტემით. დამუშავებული შეერთებების ნაცვლად უნდა იყოს დაუშლელი შეერთებები.

სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების დინამიკა“ გათვალისწინებულია საკითხი ლილვის გაანგარიშება სიმტკიცეზე, გრეხასა და ღუნვაზე. ასეთი ფორმულირებით საკითხი განიხილება მანქანათა ნაწილების კურსში (ბაკალავრიატი) ლილვების გაანგარიშება გათვალისწინებულია კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების

კონსტრუირება“ მე 13 კვირაში. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების თემები არ არის ლოგიკურად დაკავშირებული. მაგ:პირველ კვირაში ლექციის თემაა კონსტრუქციის ელემენტების სიმტკიცის შეფასება, პრაქტიკულ მეცადინეობის- კოჭის დრეკადი სიხისტის ანგარიში, მე 5 კვირაში ლექციის თემაა დამაბულობა შენადულ ნაკერში. შედეგებით შეერთების გაანგარიშება სტატიკურ სიმტკიცეზე, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობის თემაა განსაზღვრული ხაზოვანი სიხისტის მქონე ღეროებით ორმხრივ დამაგრებული მასის ვერტიკალური რხევების დინამიკური მოდელის დამუშავება. შედეგებით შეერთების გაანგარიშება სტატიკურ სიმტკიცეზე განიხილება კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების კონსტრუირება“ დაუშლელ შეერთებებში (ლექცია 1).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია“
- ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მექანიკის ინჟინერია“; -- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261
- დადგენილების დანართი – საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი <https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში გამოყენებული იქნას ინგლისურენოვან ლიტერატურაში მოცემული ტერმინოლოგია;
2. რეკომენდებულია, დამუშავდეს სასწავლო კურსის „მასალათა გამძლეობა“ სილაბუსი: დაშვების წინაპირობად განისაზღვროს თეორიული მექანიკა 1, კურსის სწავლის შედეგებში აისახოს: შეძლებს მასალის მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრას, გათვალისწინებული იქნას პრაქტიკული მეცადინეობები და საკონტაქტო საათები განისაზღვროს შემდეგნაირად: ლექცია -15 სთ., პრაქტიკული- 15 სთ., ლაბორატორიული სამუშაო-15 სთ.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

1. რეკომენდებულია, დაზუსტდეს ლექციების თემები სასწავლო კურსში „რხევების გამოყენებითი თეორია და ვიბრაციული მანქანები“;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების კონსტრუირება“ აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საკურსო პროექტის პრეზენტაცია, შეფასების შესაბამისი რუბრიკით;
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „მანქანათა ნაწილების და მანქანა დანადგარების დინამიკა“ თემატურად დაჯგუფდეს ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განსახილავი საკითხები;
4. რეკომენდებულია, კურსებში თემატიკის გადაფარვების გამოსარიცხად დაიგეგმოს სასწავლო კურსების ავტორების შეხვედრები.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია და	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ტექნოლოგია, მაგისტრატურა)				
------------------------------	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ აქვს შემუშავებული როგორც ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტი, ისე პროგრამის საბიუჯეტო ფონდი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტივობების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური რესურსები ინტეგრირებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში. ამასთან, უშუალოდ პროგრამის ხარჯები დაფინანსებულია ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. პროგრამების ფინანსები განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში. ის ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილად განიხილება.

როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის ხარჯებში შედის:

- პროფესორთა ხელფასი;
- დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო;
- საუნივერსიტეტო ადმინისტრირების ხარჯი;
- სტუდენტური აქტივობების წახალისებისთვის გაწეული ხარჯი;
- ასევე, პროგრამის განვითარებისთვის დარჩენილი სახსრები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი დაანგარიშებულია 42 სტუდენტის, ხოლო სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი - 15 სტუდენტის მიხედვით. საუნივერსიტეტო

ადმინისტრირების ხარჯში მოიაზრება ადმინისტრირების გადასახადი, კომუნალური გადასახადები (დენი, წყალი, გაზი, ინტერნეტი, კავშირგაბმულობა), ხოლო ქონების, მიწის გადასახადი და მოსაკრებლები საშუალოდ არის შემოსავლის 20%.

ამასთან, მართალია, უშუალოდ საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის სქემაში 415-ია განსაზღვრული და სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში - 148 ლარი, მაგრამ მის ქვეშ მითითებულ პუნქტებში სტუდენტური წახალისებისთვის წლიურად ბიუჯეტში საშუალოდ 10 000 ლარია ასახული. ინტერვიუზე ეს მონაცემები ვერ დაზუსტდა.

ამავე დროს, ცალკე გამოვითხოვეთ 2023 წლის ბიუჯეტი და მივიღეთ უნივერსიტეტის 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტი, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი კომპონენტები:

- სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება;
- სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.);
- საფაკულტეტო ხარჯები;
- ინსტიტუტების ხარჯები;
- კვლევითი ცენტრების ხარჯები;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობის ხარჯები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების საბიუჯეტო დოკუმენტებში არაა ასახული აუცილებელი ხარჯები ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორცაა: პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა გრანტების, პროფესიული განვითარების, სამეცნიერო მივლინების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების, წიგნადი ფონდის განახლებისა და სხვა ხარჯები. მართალია, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის დოკუმენტი შეიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობის ხარჯებს, თუმცა ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების სრულად უზრუნველსაყოფად ფიზიკურად შეიძლება უფრო მეტი ფინანსური რესურსის გამოყოფა იყოს საჭირო, ვიდრე ეს უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან ჩანს (2022 წლის მონაცემების მიხედვით, ასახულია 50 000 ლარი 12 ფაკულტეტისთვის).

საყურადღებოა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოქმედება შეზღუდულია გარკვეული წესებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის თავისებურებები და ფარგლები დარეგულირებული უნდა იყოს კონკრეტული აქტებით ან/და სპეციალური დებულებ(ებ)ით, რომლებსაც ის საქმიანობისას ვერ გასცდება. შესაბამისად, სსიპ-ის უფლებამოსილებისა და საქმიანობის ფარგლებიც არის ვიწრო (შეზღუდული). მიგვაჩნია, რომ სსიპ-ის დაფინანსების ხარჯები ასახვა შესაბამის საბიუჯეტო დოკუმენტში უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულობისა და სიცხადის პრინციპებს.

ამასთან, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების საბიუჯეტო დოკუმენტები დათარიღებულია 2022 წლით. თვითშეფასების დოკუმენტი უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2022 წლის 28 ნოემბერს, ანუ 2022 წლის მიწურულს. შესაბამისად, შემოწმების მიზნებისთვის რელევანტური იყო მომდევნო წლის ფინანსური გეგმის მოწოდება. უნივერსიტეტს ვთხოვეთ, რომ მოეწოდებინა 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტები და მივიღეთ მხოლოდ უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტი, რომელიც დათარიღებული იყო 2023 წლით. შესაბამისად, აუცილებელი იყო პროგრამების 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა.

თუმცა უსდ-ს ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს გამოხატა ცენტრალური ბიუჯეტიდან სამეცნიერო განყოფილების ხარჯების გამოყენების, საჭიროებისამებრ კი ფაკულტეტებიდან გარკვეული თანხის გადმოტვირთვის მზაობა. პროგრამების კონკრეტული საჭიროებები გარკვეულწილად ასახულია და ჩანს, რომ ისინი, ძირითადად, ეკონომიკურად მიღწევადია. თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გარკვეული ფინანსური საფრთხეების პრევენციისა და სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, **დგინდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ბიუჯეტის დოკუმენტებში მეტი სიცხადის შეტანის საჭიროება** (სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა გრანტების, სამეცნიერო მივლინებების და სხვა ნაწილში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში კონკრეტულად და ნათლად აისახოს ხარჯები პროგრამ(ებ)ის ისეთი საჭიროებებისთვის, როგორცაა: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინება, შიდა გრანტები, სამეცნიერო კვლევების წარმოება-დაფინანსება და სხვ.

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ზაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ზაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის პრინციპებია: მომხმარებელზე ორიენტირება, ხელმძღვანელობის ლიდერობა, თანამშრომელთა ჩართულობა, მუდმივი გაუმჯობესება,

ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება, პარტნიორებთან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა.

სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად მიზნად მიიჩნევა სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლების, მობილობის შეუზღუდავი შესაძლებლობების, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთიანობის უზრუნველყოფა. სასწავლო პროცესისა და საქმიანობის გაუმჯობესებაში, საბოლოო ჯამში, ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული და საუნივერსიტეტო-საფაკულტეტო საზოგადოების თითოეული წევრი. ისინი ქმნიან მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. იგი განიხილება მართვის პროცესის კომპონენტების (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და განვითარება) განუყოფელ ნაწილად. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მოქმედება შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, პოლიტიკასა და შიდა რეგულაციებს.

დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- ✓ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება;
- ✓ სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ თვითშეფასების პროცესების ორგანიზება;
- ✓ მატერიალური და ადამიანური რესურსის შესაბამისობის შემოწმება საგანმანათლებლო პროგრამებთან;
- ✓ სამიზნე ჯგუფებში გამოკითხვების ჩატარება და სხვა.

დოკუმენტაციის თანახმად, უზრუნველყოფის სისტემა იზიარებს „დაგეგმე-განახორციელებ-შეაფასე-განავითარე“ პრინციპს. ეს კომპონენტები პირდაპირპროპორციულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან თუ ერთი ფაზა დასრულდა, ამას მოჰყვება მეორე ფაზის დაწყება, მეორე ფაზის ამოწურვა იწვევს მესამე ფაზის ამოქმედებას და სხვა.

(1) დაგეგმვისას დგინდება შეფასების მიზანი და მეთოდოლოგია. შეფასების მეთოდოლოგიის ფარგლებში დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული აქტორების მოთხოვნების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ცალკეული სამუშაო პროცესის მიზანსა და ამოცანებს. დაინტერესებული აქტორების მონაწილეობით ფასდება პროგრამა, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, მუშავდება გამოსასწორებელი მხარეების აღმოსაფხვრელი ინსტრუმენტები, გროვდება მონაცემები და ისახება მიღებული შედეგების გამოყენებით პროგრამის განვითარების გეგმა. თუმცა თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ ზოგიერთგან დასახელებულია გასაუმჯობესებელი მხარეები, მაგრამ არაა შევსებული მათ განსავითარებლად დაგეგმილი ღონისძიებები. არადა სწორედ ამ აქტივობებით უნდა აღმოიფხვრას გასაუმჯობესებელი მხარეები, თვითშეფასების დოკუმენტიც უნდა შეიცავდეს უფრო სრულყოფილ სურათს ამ დეტალებთან დაკავშირებით (იხ. თვითშეფასების ანგარიშის 1.5, 2.4, 3.2, 4.5 სტანდარტები).

თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჯგუფის ცალკეული წევრები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული, თუმცა ზოგიერთი წევრი ზოგად ჭრილში განიხილავდა პროგრამის საფუძვლებს და კონკრეტული რეკომენდაციის გაჟღერებისგან უმეტესწილად თავს იკავებდნენ. შესაბამისად, დგინდება პროგრამაში თვითშეფასების ჯგუფის წევრების უფრო მეტად ჩართვის საჭიროება.

(2) განხორციელების ეტაპზე აქცენტები გაკეთებულია პროგრამის შეფასებაზე წინასწარ დაგეგმილი კრიტერიუმების მიხედვით. ამ დროს ხორციელდება შემუშავებული სტრატეგია და უზრუნველყოფა მისი რეალიზება შესაბამისი პროცედურებით. ასევე, ფასდება სწავლების,

სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთობა თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. ამ პროცესში საგულისხმოა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინება. ამ მიზნით ტარდება ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესების შესახებ შეხვედრები, შესაბამისი საკონსულტაციო სამუშაოები. ამასთან, სხვადასხვა საჭიროების დასადგენად აუცილებელია სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების დახვეწა-განვითარებისთვის გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება.

(3) შემდეგ გათვალისწინებულია შეფასების ეტაპი, რა დროსაც გამოიყენება შემოწმების ინსტრუმენტები იმის გასარკვევად, თუ რა მუშაობს და რა - არა. უნივერსიტეტის საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის საქმიანობის ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შედეგად და ეფუძნება შესაბამის კრიტერიუმებს. ამ პროცესის მიზანია, უნივერსიტეტმა ეფექტიანად იმუშავოს. პროგრამის განხორციელებისას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ასევე, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის მუდმივი შეფასებისა და მონიტორინგის საფუძველზე მიიღება გარკვეული შედეგები. მათი ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც პროგრამის გაუმჯობესებას ემსახურება. ამასთან, წარმოებს სტუდენტთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების სურვილების შესწავლა, ანალიზი და შეფასება. მიღებული შედეგების მიზანია სასწავლო პროცესში ნაკლოვანებების გამოვლენა და აღმოფხვრა. უნდა აღინიშნოს, რომ, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ზოგიერთი სტანდარტის ბოლოს დასახელებულია გასაუმჯობესებელი მხარეები, მაგრამ არ გვხვდება მათ განსავითარებლად დაგეგმილი ღონისძიებები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ როცა პროგრამაში არსებობს გასაუმჯობესებელი მხარეები, ლოგიკურად აუცილებელი იყო მათი აღმოფხვრის კონკრეტული აქტივობებიც დაგეგმილიყო (თვითშეფასების ანგარიშის 1.5, 2.4, 3.2, 4.5 სტანდარტების „გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები“).

(4) განვითარების ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კურირებს პროგრამის მოდიფიცირების პროცესს, რომელიც შეიძლება დაეფუძნოს გამოკითხვებს. ამ პროცესში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განხორციელებისთვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს საინფორმაციო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. ამავე დროს, შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურისა და პროგრამის სხვა კომპონენტების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება გამოკითხვები, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობიდან ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწის საჭიროება.

პროგრამის მუდმივი განვითარების კონტექსტში კარგი იქნება, შიდა აქტები ითვალისწინებდეს გარკვეული პერიოდულობით დამსაქმებლებისგან რჩევების მიღებას. დამსაქმებლებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებთან მუდმივი კომუნიკაცია (გამოკითხვების წარმოება, კმაყოფილების კვლევა) და მათი უკუკავშირი უზრუნველყოფს პროგრამის გადახედვასა და ცვლილებების შეტანას, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას, იყოს ორიენტირებული მუდმივ განვითარებასა და გამოკითხულ პირთა საჭიროებების გათვალისწინებაზე.

კითხვარებიდან ჩანს, რომ საბაკალავრო პროგრამის შეფასების კითხვარი შეავსო 5-მა დამსაქმებელმა და 2-მა კურსდამთავრებულმა, ხოლო სამაგისტრო პროგრამა შეავსა 2-მა დამსაქმებელმა. კითხვარის მიხედვით, 4 დამსაქმებელი მიუთითებს, რომ პროგრამის პროექტის ხელმძღვანელმა მიცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა, 1 კი აღნიშნავს, რომ შენიშვნები არ ჰქონია, თუმცა რეკომენდაციების ნაწილში ვხედავთ, რომ არაა რაიმე ტიპის შენიშვნა ან რეკომენდაცია წარმოდგენილი. გამოიკვეთა გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობის გაზრდისა და კითხვარების გადახედვის (კითხვების დამატებისა და დახვეწის) საჭიროება, რაც უზრუნველყოფს მიღებული მონაცემებისა თუ შედეგების ვალიდურობასა და გამოყენებას. ამასთან, ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ შემუშავებულ პროგრამებს გადახედეს, მაგრამ ახლა კონკრეტული ინფორმაციას ამ პროგრამების შესახებ ვერ გააჟღერებენ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია დამსაქმებელთა აქტიურად ჩართვა პროგრამების შემუშავების პროცესში და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

როგორც ინტერვიუზე ითქვა, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შექმნილი საბაკალავრო ნაშრომის მიმართ არ გამოიყენება პლაგიატზე შემოწმების წესი. თუმცა საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო კომპონენტად მოაზრებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველივე საფეხურზე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უნარის გამომუშავებისთვის აუცილებელია, რომ საბაკალავრო ნაშრომიც შემოწმდეს აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე. ეს სამაგისტრო საფეხურზე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მყარ გარანტად გვესახება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები აფასებენ მასწავლებელს კითხვარების მეშვეობით. ეს გამოკითხვა ატარებს ანონიმურ ხასიათს. ამასთან, გამოკითხვა, ძირითადად, მოიცავს პროგრამის სასწავლო კომპონენტს. კითხვარში არაა ისეთი კითხვები წარმოდგენილი, რომლებიც სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებასა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასებას შეეხებოდა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ამ ნაწილში სპეციალური გამოკითხვის ჩატარება პროგრამას წაადგებოდა.

უნივერსიტეტში მოქმედებს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი,“ რომლითაც რეგულირდება ელექტრონული პლატფორმა „Strikepagiarism.com“-ის დახმარებით სამეცნიერო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პროცედურას, გამოვლენილი შედეგების განხილვის, შედეგების გასაჩივრებისა და დარღვევების არსებობისას შესაბამისი რეაგირების წესს.

მართალია, კარგია ასეთი წესის არსებობა, მაგრამ ის საჭიროებს დახვეწას, მაგალითად:

1. აღნიშნული წესის მიხედვით, უნივერსიტეტში შესრულებულ ნაშრომებს განეკუთვნება სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია და სადოქტორო ნაშრომი. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ ეს წესი გამოიყენება სამაგისტრო ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერების შესამოწმებლად. თუმცა პლაგიატზე შემოწმების ეს წესი არ შეიცავს ჩანაწერს ამ დებულებების სამაგისტრო ნაშრომის მიმართ გავრცელების შესახებ. ამდენად, ფორმალურ დონეზე წერილობითაც უნდა აისახოს ამ წესში, რომ ის გამოიყენება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.

2. ამასთან, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დადგენილია მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმუმი. კერძოდ, ნაშრომში, სახელმძღვანელოების გარდა:

ა) სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 5-სიტყვიანი ფრაზების მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს;

ბ) სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 25-სიტყვიანი მონაკვეთების მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

გ) სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ ფრაზებს ციტატების მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს.

თუ ნაშრომში სამივე სახის მსგავსება დგინდება, გამოდის, რომ დასაშვებია 75%-იანი ($5+50+20=75$) მსგავსება. 50% იანი მსგავსებაც გაუმართლებელია სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გადასახედია მსგავსების კოეფიციენტის განსაზღვრის საკითხი, მით უფრო, როცა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონისთვის „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობაში“ მოიაზრება: „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა, ასევე, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.“ კვლევითი ნაშრომი უნდა ასახავდეს ავტორის ინდივიდუალურ ხედვას, წაკითხული კვლევების მისეულ გააზრებას. მსგავსების ამხელა მაჩვენებელი უნდა შემცირდეს, რათა ციტირებულმა ფრაზებმა არ გადაფაროს მაგისტრანტის კვლევითი უნარები და დამოუკიდებლობის ხარისხმაც აიწიოს. ეს ნაშრომში 50%-იანი ან მეტი %-იანი მსგავსების შემთხვევაში ვერ მიიღწევა.

3. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების აღნიშნული წესის (მე-5 მუხლის მე-15 პუნქტი) მიხედვით, თუ ნაშრომი შეიცავს პლაგიატს და მსგავსების დასაშვებ ნორმას აღემატება, დაცვაზე ის არ დაიშვება. უნდა აღმოიფხვრას საფრთხე იმაზე, რომ დაშვებულ იქნეს ნაშრომი დაცვაზე, თუ ნაშრომში მსგავსების კოეფიციენტი შეესაბამება დასაშვებ პროცენტულ ოდენობას, მაგრამ აღინიშნება პლაგიატის ნიშნები.

4. „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“ კადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N01-05-04/133 დადგენილების (დანართი 2) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მაგისტრანტის საჯარო დაცვის შეფასება განისაზღვრება საგამოცდო კომისიის თითოეული წევრის მიერ მიღებული სკალირებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. თუმცა ამავე მუხლის მე-8 პუნქტი ადგენს, რომ „შეფასების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე საგამოცდო კომისიას უცხადებს პროცედურის შედეგებს და შესაბამისი ოქმი მტკიცდება ღია კენჭისყრით, საგამოცდო კომისიის დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში.“ მაგალითად, თუ საგამოცდო კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგანაც 3 წევრი წერს დადებით შეფასებას (ვთქვათ, 70 ქულას), მაგრამ 2 წევრი აფიქსირებს უარყოფით შეფასებას (40 ან დაბალ ქულას), გამოდის, რომ კომისიის 5 წევრიდან რადგან 3/4 არ აფასებს დადებითად სამაგისტრო ნაშრომს, შეიძლება უარყოფითი შედეგი დადგეს. არადა ამ შემთხვევაში 5-ვე წევრის ქულების შეჯამებისას საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით შეიძლება გამოვიდეს დადებითი შეფასება (51 ან მეტი ქულა). ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ეს ჩანაწერი უნდა ეხებოდეს სამაგისტრო ნაშრომის არა დადებით გადაწყვეტილებას, არამედ მხოლოდ ოქმის დადასტურებას, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ ჩანს დოკუმენტშიც. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ დადგენილების მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები უნდა იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

5. ამასთან, ამავე დადგენილებაში არაა ჩანაწერი იმის შესახებ, თუ ვინ შედის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაში, შეიძლება თუ არა ხელმძღვანელი და რეცენზენტ(ებ)ი შედიოდნენ

კომისიის შემადგენლობაში, როგორც მათი დატვირთვა ამ კომისიაში. დგინდება ამ ჩანაწერის არსებობის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N01-05-04/133 დადგენილება „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის №01-05-04/108 დადგენილება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში“ გაჩნდეს ჩანაწერი, რომლითაც ეს წესი გავრცელდება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაზე.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, პროგრამის მუდმივი განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ხშირი ხასიათი ჰქონდეს დამსაქმებლებთან კომუნიკაცია-თანამშრომლობას
- სასურველია, დაიგეგმოს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოფხვრის ღონისძიებები მუდმივი განვითარების მიზნით; ასევე, ვალიდურობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილეთა რაოდენობა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“ გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობის ნიშნულთან დაკავშირებული საკითხი.
- რეკომენდებულია, „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების ჩანაწერები დადებითი შეფასების გამოანგარიშების თაობაზე ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის N65/ნ ბრძანება ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების გარე მექანიზმებს. ამასთან, პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანებას.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს დებულების მიხედვით, რომლითაც დადგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები. გარდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია გარე მექანიზმების შემუშავებაში, რათა სწავლებისა და კვლევის ხარისხი დახვეწოს.

მართალია, აკრედიტაციის 5.2 სტანდარტი ეხება გარე ხარისხის შეფასებას, მაგრამ უნივერსიტეტს თვითშეფასების დოკუმენტში გარე კოლეგიალური შემფასებლის დასკვნები აქვს მითითებული. კერძოდ, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა შეაფასა შპს „არგოს“ და „ქესოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ხოლო სამაგისტრო პროგრამა – შპს „მიქსორის“, შპს „ნოვატორ-ტექნოლოგიური სისტემებისა და შპს „თი აი ჯი“ წარმომადგენლებმა. სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასებები პოზიტიურია, რაც, ცხადია, ძალიან კარგია, თუმცა პროგრამის განვითარებას რამდენიმე რჩევის ასახვა წაადგებოდა, მით უფრო, ინტერვიუზე ისინი კავლიფიციური კადრების ნაკლებობას უსვამდნენ ხაზს. ამდენად, ვინაიდან პროგრამის გარე ხარისხის შეფასების დროს უნდა იყოს განხილული ეროვნული ან/და საერთაშორისო აკრედიტაციისას რამდენიმე რჩევის ასახვა წაადგებოდა, მით უფრო, ინტერვიუზე ისინი კავლიფიციური კადრების ნაკლებობას უსვამდნენ ხაზს. ამდენად, ვინაიდან პროგრამის გარე ხარისხის შეფასების დროს უნდა იყოს განხილული ეროვნული ან/და საერთაშორისო აკრედიტაციისას გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხი, დგინდება კოლეგიალური შეფასების ხარისხის გარე შეფასებისგან გამიჯვნის საჭიროება, გარე კოლეგიალური შეფასება კი უნდა აისახოს 5.3 სტანდარტში (და არა 5.2 სტანდარტში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გარე კოლეგიალური შეფასებები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მემორანდუმები;
- პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, ხარისხის გარე შეფასება გაიმჯღნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და გარე შეფასებისას გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ მონაცემები აისახოს თვითშეფასების დოკუმენტში.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება				
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, რომელთაგან „მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია.

პროგრამ(ებ)ის პერიოდული შეფასება და მონიტორინგი ხდება უნივერსიტეტის ხარისხის კონცეფციის გათვალისწინებით. თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ პერიოდული შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მიღებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე. ყოველი

ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები აფასებენ კითხვარების დახმარებით პედაგოგს. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება პროგრამის მოდიფიცირებისთვის.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, **დამსაქმებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ეს მექანიზმი რეალურად სათანადოდ ვერ მუშაობს, რამდენადაც** პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შემუშავდა თვითშეფასების ჯგუფის ფორმატში და არა დასახელებული სეგმენტებისა და საფეხურების გათვალისწინებით. მაგალითად, თვითშეფასების ჯგუფში არაა წარმოდგენილი სტუდენტი, მისი ჩართვა კი ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო. ამასთან, დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში არ იყვნენ ჩართული, პროგრამის დასრულების შემდეგ მიიღეს პროგრამა, გაეცნენ ტექსტს, არ ჰქონდათ რაიმე შენიშვნა ან/და რეკომენდაცია და პროგრამა დადებითად შეაფასეს.

დამსაქმებლები ინტერვიუს დროს საუბრობდნენ კვალიფიციური კადრების ნაკლებობაზე, თუმცა იქვე მათაც დაადასტურეს, რომ აუცილებელია მათი მხრიდან გარკვეული რეკომენდაციების გაჟღერება, რათა მათთვის სასურველი კადრები მიიღონ და კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შემუშავება-დამტკიცების ცირკულარული პროცესი არაა სათანადოდ შესრულებული ყველა დაინტერესებული პირის აქტიური მონაწილეობით. ამიტომ **ყველა დაინტერესებულ აქტორთან (სტუდენტი, დამსაქმებელი ...)** თანამშრომლობა უნდა ატარებდეს ინტენსიურ ხასიათს პროგრამის მუდმივი განვითარება-გაუმჯობესების მიზნით (იხ. დასკვნის 2.2. სტანდარტი). თვითშეფასების ჯგუფმაც უნდა გაითვალისწინოს მათი შენიშვნები თუ რჩევები და დაინტერესებული პირების ჩართვის შემდგომ განხორციელოს პროგრამის თვითშეფასება.

თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ მე-5 სტანდარტში „ძლიერ მხარედ“ მითითებულია ხარისხის შიდა მექანიზმების შესაბამისობა საერთაშორისო პრაქტიკასთან, თუმცა ინტერვიუზე ვერ დაზუსტდა, ხარისხთან დაკავშირებით რომელი გამოცდილებაა გათვალისწინებული. ამავე დროს, ხარისხის შიდა მექანიზმები გარკვეულწილად დახვეწას საჭიროებს როგორც დოკუმენტების დონეზე, ისე პრაქტიკაში აქტიური განხორციელების მიმართულებით (იხ. ექსპერტთა დასკვნის 1.1, 1.2, 2.6, 5.1 სტანდარტები).

ამასთან, პროგრამის მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს გარე ექსპერტის შეფასებას, რომელიც 5.2 სტანდარტის აღწერილობით ნაწილშია წარმოდგენილი, თუმცა ის უნდა ასახულიყო 5.3 სტანდარტში (იხ. დასკვნის 5.2 სტანდარტის აღწერილობითი ნაწილი).

გარდა ამისა, ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები. მართალია, **თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ მიღებული ინფორმაციის შედეგები გაანალიზდა და პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები განისაზღვრა, მაგრამ** თუ თვითშეფასების ანგარიშს ვნახავთ, მასში ზოგიერთი სტანდარტი (პირველი, მეორე, მეხუთე) არ შეიცავს გასაუმჯობესებელ მხარეებს. საქმე ისაა, რომ ხარისხის მდგრადობის თვალსაზრისით **უმნიშვნელოვანესია პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, პროგრამის განვითარების შესაძლებლობების, გასაუმჯობესებელი მხარეების სათანადოდ იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა, რათა პროგრამის განვითარების დანახვა შესაძლებელი იყოს დინამიკაში (დეტალურად იხ. 5.1 კომპონენტი).** ასევე, სასურველი იყო, ანალოგ პროგრამებთან დადარების ანალიზი შეხებოდა ინფორმაციას, თუ ანალოგი პროგრამებიდან რა იქნა გადმოდებული და რა დასაბუთებით, განსაკუთრებით მათ შორის საერთო ნიშნებისა და განსახილველი პროგრამების ორიგინალურობის დადგენის თვალსაზრისით.

აქვე მართალია, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული არიან აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები, შეფასებები განხორციელდა დეპარტამენტის შეხვედრებისა და კითხვარების საშუალებით, მაგრამ ჩანს პროგრამის შემუშავება-დახვეწისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული აქტორის აქტიურად

ჩართვის საჭიროება. აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებული საქმიანობა უზრუნველყოფს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. ამავ დროს, პროგრამ(ებ)ის სასწავლო კურსების სილაბუსებმა და ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სწავლის შედეგებში ზოგიერთი სასწავლო კურსი მაინც უნდა გადიოდეს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობაზე“. აღნიშნული გარკვეულწილად დაადასტურეს ინტერვიუზე როგორც პროფესორებმა, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა. გამოიკვეთა რამდენიმე სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მესამე კომპონენტის („პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“) საჭიროებისამებრ ასახვის საჭიროება (დაწვრილებით იხ. 1.2 სტანდარტი).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასა მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა. პროგრამის შემუშავებისას ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიური პერსონალიდან ზოგიერთ პროფესორს ჰქონდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც გაითვალისწინეს პროგრამაში. ამასთან, როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, მათ პროგრამა შეაფასეს კითხვარების დახმარებით, პროგრამა კი აიგო უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

ამასთან, სააკრედიტაციოდ წარმოადგენილია მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც შეაფასა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას მათ გაითვალისწინეს საერთაშორისო გამოცდილება.

აქვე საყურადღებოა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსთან დაკავშირებით დაისვა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებს შორის გამიჯვნის საკითხი, რადგან ზოგიერთი თემა, რომელიც სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსითაა გათვალისწინებული, საბაკალავრო საფეხურზე განსახილველი საკითხებია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუზე ადრესატებმა გარკვეულწილად დაადასტურეს ამ პრობლემისა და მისი გასწორების საჭიროება.

ამასთან, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო კურსებს შორის გამიჯვნის მიზნით გამოიკვეთა სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდებზე მეტი აქცენტების აუცილებლობა, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში სამაგისტრო საფეხურზე შეინიშნება, რომ მნიშვნელოვანია სწავლებისა და შეფასების მეთოდთა გამრავალფეროვნება (დეტალურად იხ. 2.3 და 2.4 სტანდარტები). აქვე გადამწყვეტია ანალიტიკური დავალებების შემოთავაზება, განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურზე. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილებები (კურიკულუმების, მოდულებისა და სასწავლო კურსების განხილვა და მათი სრულყოფისთვის რეკომენდაციების წარდგენა). დარგის სპეციალისტების გადმოსახედიდან ჩანს, რომ სამაგისტრო საფეხურზე რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგებში აუცილებლად უნდა აისახოს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“ (იხ. ექსპერტთა დასკვნის 1.2 სტანდარტის აღწერითი მიმოხილვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/> ;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროგრამის შეფასების პროცედურა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტრატეგიული გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;
- „პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის №531 დადგენილება;
- „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება;
- „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის № 01-09-10/273 ბრძანება;
- კოლეგიალური შეფასებები;
- პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსების, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების გადაფარვების აღმოფხვრის, შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების სათანადოდ განსაზღვრისა და სხვა მიმართულებით.
- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და შედეგები, ასევე, სხვა კომპონენტები შემუშავდეს დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, ანალოგ პროგრამებთან დადარების უფრო დეტალური ანალიზი იყოს წარმოდგენილი, რითაც დადგინდება როგორც პროგრამებს შორის მსგავსება, ისე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განსაკუთრებულობა.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1, მექანიკის ინჟინერია, ბაკალკავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები: „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; „მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (მექანიკის ინჟინერია, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (მექანიკის ინჟინერია, მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



მამუკა ბენაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



ომარ კიკვიძე,



მიხეილ ბიჭია,



თამარ თავხელიძე.